რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა.

წლიური ფასი ექვსი მანათი.

## რედაქციისაგან

დღე ყოველ მოგვდის თხოვნა ახალ ხელის-მომწერთაგან, ძველი ნომრები გამოგვიგზავნეთო. ბევრი გვთხოვს პირველი ნომრიდგან გვინდა გაზეთიო. რადგანაც სათითაოდ წერილის მიწერა ყველასთან მეტად ძნელია, ამიტომ ვაცხადებთ, რომ 25 ნომრამდე გაზეთი სულ გავიდა და რედაქციას აღარ მოეპოვება. ახალი ხელის მომწერნი მხოლოდ 20 ნომრიდგან მიიღებენ გაზეთს, ხოლო ვისაც ამ ნომერს შემდეგ შიგა და შიგ თითო-ოროლა ნომერი დაჰკლებია, ფოსტისა თუ ჩვენის ბრალით, ვთხოვთ შეგვატყობინონ და დაკლებული ნომრები დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულადშ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ქართული თეატრი

კვირას, 24 ნოემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

**ურიელ-აკოსტა**

ტრ. 5 მოქმედ. თარგ. ბაქრაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ივანიძე, კუნდელი, ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ განიზრახა მუდმივი ქართული ხოროს დაარსება, რისთვისაც უკვე მოწვეული ჰყავს ამ საქმეში კარგად დახელოვნებული პირი. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ხსენებულს ხოროში, მობძანდეს ხმის გამოსაცდელად „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ორშაბათობით და ხუთშაბათობით, საღამოს 5—7 საათზედ.

По случаю продается
ДОРОЖНАЯ КОЛЯСКА
(*малоподержанная*)
Спросить у Котрини.
შემთხვევით იყიდება
საგზაო ეტლი
მსურველთ მიმართონ კოტრინს.
(5—1)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

20 ნოემბერი.

**სოფია.** გუშინდელ უწესოების დროს დაშავებული ჟანდარმი დღეს გარდაიცვალა. ამბობენ, პროკურორი სამართალში მისცემს მინისტრად ნამყოფს ტონჩევს და ორს სხვა კაცს, რომელთაც ბრალი ედებათ უწესოებაში მონაწილეობისა.

**ლონდონი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ავადმყოფობის გამო ჯემსონი ციხიდგან გამოუშვეს.

**ელისავეტპოლი.** 20 ნოემბერს, ნაფიცმა მსაჯულებმა გაარჩიეს საქმე ალექსანდრე შიშკინისა, რომელმაც სამჯერ რევოლვერი ესროლა სამსახურიდგან გადამდგარს კორნეტს პავლოვსკის, მას შემდეგ, პავლოვსკიმ რომ დიდი შეურაცხ-ყოფა მიაყენა. მსაჯულებმა ბრალდებული გაამართლეს.

**ალექსანდრია.** სააპელაციო სასამართლომ გადასწყვიტა, ეგვიპტეს მთავრობამ დაუბრუნოს ხაზინას ფული, რომელიც დონგოლის ექსპედიციაზე დახარჯა და აგრეთვე გადიხადოს სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯი.

**ბუქარესტი.** სამინისტრო სამსახურიდგან გადადგა. ახალის კაბინეტის შედგენა დაავალეს პალატის პრეზიდენტს აურელიონს.

21 ნოემბერი.

**ბერლინი.** 20 ნოემბერს, დაიწყო საქმის გარჩევა, რომელიც გამოიწვია გაზეთში დაბეჭდილმა წერილმა. ამ წერილით შეურაცხ-ყოფილ არიან ობერ-გოფმარშალი ეილენბურგი, სტატს-სეკრეტარი ფონ-მარშალი და პრინცი ალექსანდრე ჰოგენლოე. გაზეთში დაბეჭდილია რუსეთის იმპერატორის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო და შემდეგ სწერია, რომ ვითომ გერმანიაში შეუსაბამო და საიდუმლო მთავრობა იყოს; გარდა ამისა, ნათქვამია, რომ მთავრობაზედ ინგლისს გავლენა აქვსო. ბრალდებულნი არიან: ჟურნალისტები: ლეკკერტი და ლიუცოვი, გაზეთის „Welt“-ის რედაქტორი პლეც-ბერგერი, გაზეთის „Burger“-ის რეპორტერი ფელმერი და ვაჭარი ლეკერტი. მოწმებად მიწვეულნი არიან: სტატს-სეკრეტარი ფონ-მარშალი, ლეგიაციონერატი გოლშტეინი, გალმანი, პრინცი ჰოგენლოე, ვოლფის სატელეგრაფო სააგენტოს დირექტორი, პოლიციის კომისარი ტაუში და რამდენიმე ჟურნალისტი. თუმცა მრავალჯერ დაეკითხნენ, ლეკერტმა არ დაასახელა ის კაცი, ვისგანაც ცნობა მიიღო. იციან მხოლოდ, რომ ეს კაცი ბერლინის ერთს სახელმწიფო უწყებაში მსახურობს. ლეკერტმა სთქვა, მე არავითარი პირადი საქმე არა მქონია მარშალთან, პრინც ჰოგენლოესთან, გალემანთან და გოლშტეინთან და მათ არც-კი ვიცნობო. ბრალდებული ამტკიცებს, ბრესლავში აუდენცია მქონდა და ველაპარაკე იმპერიის კანცლერს, ხოლო სახელმწიფო მთავარ-პროკურორი ამბობს, მე წერილი მაქვს იმპერიის კანცლერისა, რომელიც ამბობს, რომ ეგ ტყუილიაო. ბრალდებულის ვექილის თხოვნით, სასამართლომ გადასწყვიტა გადადებულ იქმნას იმპერიის კანცლერის ჩვენება იმ დრომდე, ვიდრე ფონ მარშალს ჩამოართმევენ ჩვენებას. აღმოჩნდა, რომ ლეკერტი— ყოფილა დამწერი იმ წერილისა, რომელშიაც წარმოთქმულია აზრი, ვითომც გრაფ ეილენბურგის წინააღმდეგი საქციელი სტატს—სეკრეტარის ფონ-მარშალის ანუ პრინცის ჰოგენლოეს საქმე იყოს.

**ბერლინი.** მადრიდიდგან იუწყებიან, რომ საქმეთა ვითარება საშიშია: ესპანელები მხოლოდ კაზიტიეს დაცვას ფიქრობენ; მანილიაში ყოველ დღე აჯანყებას მოელიან. ადგილობრივნი მცხოვრებნი ემზადებიან ევროპიელები განდევნონ ქალაქიდგან.

**ბუდა-პეშტი.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა არა

უპასუხარა პოლონიის კითხვებზედ, რომლებიც მიმართულ იყო სამთა კავშირის წინააღმდეგ. მინისტრმა სთქვა, რომ ჰამბურგში მომხდარმა გამხილებამ სრულებით არ შესცვალა სახელმწიფოთა პოლიტიკა.

**რომი.** „Opinione“ სწერს, რომ „Neue Freie Presse“-ის დეპეშა ჰამბურგიდგან, ვითომ რუსეთსა და იტალიას კავშირი შეუკრავთ, ტყუილია.

**არრასი.** პა-დე-კალეს დეპარტამენტი დღეს გაუგზავნის ხელმწიფე იმპერატორს საჩუქრად ბულონის ცხენებს.

**ზანზიბარი.** აფრიკის აღმოსავლეთის ნაპირზედ, მაგადოსკში, სომალისებმა მოჰკლეს იტალიის მთავარი ელჩი ჩეკკი და იტალიის ორის სამხედრო გემის უფროსები და ორი კაცი დასჭრეს.

---

# ახალი ამბავი

*** ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოებამ მიჰმართა ქუთაისის გუბერნატორს და სთხოვა, განზრახვა გვაქვს ქუთაისში დავაარსოთ „საყმაწვილო სამუშაო სახლი“ და, თუ შეიძლებოდეს, შენობისათვის საჭირო ადგილი მოგვეცით უსასყიდლოდო.

*** კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების კრება დანიშნულია დღეს, აბრაშუმის გამაშენებელ სადგურში (მუშტაიდში). ამ კრებაზედ, სხვათა შორის, აგრონომი სპეშნოვი წაიკითხავს თავის მოხსენებას კახეთში აღმოჩენილ ვაზის ავადმყოფობის ბლეკ-როტის შესახებ.

*** ზანგეზურის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ბაქოს ოლქის სასამართლოს კანდიდატი ბ-ნი კანდელაკი.

*** **გონჩაროს ქუჩის უგვარგისობა.** მეორე გონჩარის ქუჩაზედ მცხოვრებნი მეტის-მეტს ცუდს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი უგზოობის გამო. ზამთარი დადგება თუ წვიმა მოვა, ორივე მათ საუბედუროდ მოევლინდება. წვიმის დროს სახლები ნიაღვრით ივსება, რის გამოც კედლები ნესტიანდება და დღითი დღე იშლება. ნეტავი დიდი მაინც იყოს ეს ქუჩა სიგრძე-სიგანით, ან სახლის პატრონებს როგორ გაუჭირდათ ამ ქუჩის გაყვანა და ან სამოქალაქო გამგეობამ რატომ არ მიაქცია აქნობამდის ყურადღება. ექიმის მოყვანა რომ გნებავდეთ ავადმყოფთან ამ ქუჩაზედ, ვერც ქვემოთა მხრიდამ მიუყვნებთ ფაეტონს და ვერც ზემოდამ. ურმით თუ დროგით შეშის მოტანა ხომ ყოვლად შეუძლებელია. ორივე მხრიდამ მიწაა ასაღები დაქუჩა გასაყვანი. რა უნდა ჰქმნან ამ ქუჩის სახლის პატრონებმა, რა გვარად უნდა გააქირაონ სახლები, როდესაც ასეთი უხერხული საცხოვრებელია. სწორედ ასეც არის, რომ ვერ აქირავებენ თავიანთ სახლებს ვერც დროზედ და ვერც ღირებულს ფასებში. რა ქნან ვალიან სახლის პატრონებმა, რითი გაისტუმრონ ან ბანკის ვალი და ან ქალაქის ხარჯი. ამ ქუჩის უვარგისობის შესახებ შარშან ,,ივერიასა'' და ,,კავკაზშიაც'' იყო ლაპარაკი, მაგრამ როგორც სჩანს, არავის მიუქცევია ყურადღება. ეხლა მაინც მიაქციოს ყურადღება, ვისიც ჯერ არს. გაიყვანონ ქუჩა და გადაახდევინონ ხვედრი ფული სახლის პატრონებს. ამაზედ არც ერთი სახლის პატრონი არ იტყვის უარს.

*** **ნავთის სიძვირე და მისი საწინააღმდეგო ზომები.** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ალ. თუთაევისაგან შემდეგი წერილი: ვინ არ იცის, ამ უკანასკნელ ხანებში ნავთის ფასმა თითქმის ერთი სამად აიწია. «ცნობის ფურცელშიც» იყო ამაზედ დასტამბული შენიშვნა, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ არავინ არის გამგონი და ვისიც ჯერ არს, ისინი ყურსაც არ იბერტყამენ. ტფილისში გირვანქა ნავთი $3^1/_2$ კაპიკად იყიდება და ბათომში ნავთი ღირს ერთი კაპიკი, მაშასადამე ცხადია, რომ გადატანის სიძვირე კი არ არის მიზეზი ტფილისში ნავთის გაძვირებისა, არამედ სხვა რამ და ამ მიზეზს გამოკვლევა ეჭირვება. საქმე ის არის, რომ ტფილისში რავდენსამე ფირმას პირი აქვთ შეკრული და როგორც მოინდომებენ ისრე ჰყვლეფამენ ქალაქის მცხოვრებთ. ნავთის სიძვირე მეტად საგრძნობელია ღარიბ ხალხისათვის, მეტადრე, როცა ნავთს ეხლა მომეტებულად საჭმლის სამზადებლადაც ხმარობენ და სინათლისათვის ხომ ამ ზამთრის მოკლე დღეებში ნავთი ერთი ორად მომეტებული იხარჯება ყველა ოჯახში. თვითონ ქალაქი რომ იკისრებდეს ნავთით მოვაჭრეთა მორჯულებას, მაშინ ხომ ყველანი მადლობელნი იქნებოდნენ და ღარიბ ხალხსაც შესამჩნევი შეღავათი მიეცემოდა. განა არ შეუძლიან ქალაქის გამგეობას თვითონვე დააარსოს ქალაქის რამდენსამე ნაწილში ნავთის საწყობები და ამით ლაგამი ამოსდოს მადა გახელებულ ნავთით მოვაჭრეთ; მაშინ ხსენებული მოვაჭრენი ნებაუნებლიედ იძულებული გახდებოდნენ ნავთის ვაჭრობა წესიერად ეწარმოებინათ. ხოლო ქალაქისათვის ეგ არც ისე საძნელო საქმე იქნება და არც იმდენი თანხა დასჭირდება, რომ ადვილად არ შეეძლოს ამ საქმის დაყენება. თუ მაინცა და მაინც, ვითომც და ბევრი საქმისა გამო, ქალაქს არ ეხერხება თვითონ იკისროს ეს საქმე, რამე ღონე მაინც იღონოს, რომ ცოტათი მაინც შეღაგმოს ალვირ აშვებული და თავს გასული ნავთის მოვაჭრე და მოვახშენი.

*** **სანოვაგეს და სასმელების გასინჯვის საჭიროება.** ტფილისში

---

## თეატრის მატიანე

სარა ბერნარის მოგონებიდან.

ერთ დროს, როცა ჯერ პატარა ვიყავ, ხასიათი სრულიად გამომეცვალა: ყველას ვებრძოდი, ვანჩხლობდი, სიბრაზისაგან არ ვიცოდი რა ჩამედინა, თუ ვინმე მეწინააღმდეგებოდა. ერთხელ ნათლია ჩემი, ერთი ჩვენი მოხუცებული მეგობარი, და დედა ჩემი რაღაცას საუბრობდნენ. მე იმწამსვე მივხვდი, რომ ჩემზედ ჰქონდათ ლაპარაკი. მართლადაც არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ჩემი ოთახის კარები გაალო დედამ და დამიძახა; მასწავლებელ ქალს კი გამოუცხადა, რომ მე თავისუფალი ვიქნები მთელი დღე ჩემი დაბადების დღის გამო.—რას აპირობ, რითი გინდა ირჩინო თავი, უმზითვო ბალღო, მკაცრად მკითხა ნათლიამ; თავის საკვებად მუშაობა არის საჭირო.

— მართლა, რა ხელობას გინდა მოჰკიდო ხელი, მკითხა მოხუცმა მეგობარმა. ამ დროს სასტუმროს ოთახის კარები გაიღო და შემოიჭრა ლამაზი, შავგრიმანი დეიდა-ჩემი.

— არავითარ ხელობაზე არ ფიქრობს, წარმოსთქვა მან.

დედამ, შავგრიმანმა, დინჯმა, ლამაზმა, რაფაელის ღვთის-მშობლისავით და რუბენსის მაგდალინასავით ამაყმა ხმა გააწყვეტინა; მე კი, აგებულობით სუსტი, გაჩუმებული ვიდექი ამ არეოპაგის შუა, ვთრთოდი, ვკანკალებდი და გამონის სურათს („ბედნიერების ოცნებანი“) მივაჩერდი. ყველა ბედნიერება იყო ამ სურათზე გამოხატული და მათ შორის დავეძებდი ჩემს ბედს, მაგრამ ყველა ჩემთვის მიუწვდენელი იყო. სურათის შუაზე იდგა ახალგაზდა დედა და თავის პატარა ტიტველ ბავშვებს ეთამაშებოდა. მე შვილების ყოლა არ მინდოდა, რადგანაც გათხოვება არ შემეძლო, როგორც უმზითვოს. (მაშინ მე მეგონა, რომ ბავშვი მარტო ქორწინების შემდეგ დაიბადებოდა). გვერდით ახალგაზდა ქალი, ყვავილებით შემკული, დაყრდნობოდა ყმაწვილ კაცს გულზედ, ორივეს გრძელწვერა მოხუცებული კაცი ლოცავდა. არც ეს იყო საჩემო. მარჯვნით ახალგაზდა ქალი უსხამდა ღვინოს ყმაწვილ კაცს; მე არ მესმოდა, რა სიამოვნება უნდა ყოფილიყო ეს. შემდეგ ორი ახალგაზდა ქალი ჩანგზედ უკრავდა და მღეროდა. მონასტერი მომაგონდა. მოვიქრუშე. ბოლოს ყმაწვილი კაცი რაღასაც ხატავდა და გვერდით ახალგაზდა ქალი სახატავ კალამს აწოდებდა. მეც ასე ვიქნები, მხოლოდ დავხატავ მე და კალამს კი კაცი მომაწვდის, ვიფიქრე და მერმე ხმა მაღლა ვსთქვი:

— „კარგად იცი, დედა, როგორ მიყვარს მხატვრობა“. მხატვრები შიმშილით კვდებიანო, სთქვა ნათლიამ—ეგ შეუძლებელია.—აი შენი დახატული სურათი, და მიმითითა ჩემ სურათზედ, რომელსაც მე ვხატავდი. ეს იყო პირი „გატეხილი ვაზასი“. ლამაზი დეიდა ჩემი სიცილისაგან ტუჩებს იკვნეტდა და ქოლგის წვერით მიჩვენა, რომ ჩემ დახატულ სურათს ერთი თვალი ზევით ჰქონდა, მეორე ქვევით და უცაბედად ქოლგის წვერით გახაზა. მე გავფითრდი. მზად ვიყავი მეცემა დეიდა ჩემისთვის. მოხუცებულ მეგობარს შევებრალე.

ეს სურათი მშვენიერია და ეტყობა, რომ ხატვის ნიჭიც აქვს; მაგრამ რა გაეწყობა, სჯობია აქტრისა გახდეს. წარმოსთქვა ეს და გაიღიმა კმაყოფილების ნიშნად. აქტრისად! ვინ! ეგა, უშნო, ულაზათო, წამოიძახა ნათლიამ.

— ვინაა ულაზათო, ჩემი ქალი? წამოიძახა დედა ჩემმა: ჰკუაზედ შეცდით სწორედ; ჩემი ქალი ლამაზია; შეხედეთ ამის თვალებს, განა ლამაზი არ არის? ამის თმა!!. თქვენ, მეგობარო, სწორედ გადაირიეთ და შეურაცხყოფილმა, ვითარცა დედამ, დაიწყო ოთახში სიარული.

— სუსტია, პატარაა, ავადმყოფია, ლაპარაკობდა ნათლია, «მოდის“ მაღაზიაში მიეცით, იქ გზას გაიკაფავს; დახეთ ამის ხელებს და ჩემი გძელი ხელები ზევით ამიწია, ბიჭია ჰგავს. მე სწორედ გაპუტულ წიწილს ვგავდი.

— დიაღ, განაგრძო მან, მაღაზიაში მიეცით; ეს ხელობა მაგისთვის გამოჭრილია.

მოხუცებული მეგობარი დედი ჩემის აზრისა იყო, რომ მე უშნო არ ვიყავ, სასიამოვნო ხმა მქონდა, ნაზიც ვიყავი, კბილებიც ლამაზი და ამიტომ სიცილი მიხდებოდა. მაგრამ, რასაკვირველია, ჯერ უნდა გავზდილიყავი, გავსუქებულიყავი (მოხუცს თავშიაც არ მოსდიოდა მაშინ, რომ ჩემ სიგამხდრისგან ჟურნალისტები გასუქდებოდნენ.) ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ეჩვენებინათ ჩემი თავი დე ქირარდენისთვის, რომელსაც მეორე დღეს დეიდა ჩემი ელოდა. დედა ჩემი, საზღვარ გარეთელი იყო და არ იცოდა, როგორ შეიძლებოდა თეატრში ახალგაზდა მოთამაშეთ მიღება.

არსებობს, ეგრედ წოდებული, ქალაქის ლაბარატორია, რომელიც მარტო ღორის ხორცს და ღორებს სინჯავს და სხვა ხორაგი და სანოვაგე კი ისეა დატოვებული, თითქოს მათს ავკარგიანობისაგან არ იყოს დამოკიდებული ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობა. მაგალითად, რატომ არ მიექცევა ჯეროვანი ყურადღება ღვინოს. ტფილისში 500 მეტი ღვინის სავაჭრო არსებობს და მათ შორის, იქნება, ხუთიოდე ფირმას თუ აქვს ნამდვილი ღვინო, თორემ სხვებს ღვინოს მაგიერ შაქრით შეზავებული რაღაც ძმარ-წყალი. ურიგო არ იქნება ქალაქის გამგეობა ამ გარემოებას მიაქცევდეს ყურადღებას და მოვაჭრეებს აიძულებდეს რაღაც საწამლავის მაგიერ ნამდვილ ყურძნის წვენის გაყიდვას.

⁂ **ილია ხონელის (ბახტაძეს) ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ი. ხონელის ახალი წიგნი, რუსულ ენაზე, რომელშიაც მოთავსებულია 300 პატარა გვერდზედ სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი ლეგენდები, მოთხრობები, აღწერილობანი და ზღაპრები, რომელთა რიცხვი ჩვიდმეტია. მოთხრობები მეტად სასიამოვნო წასაკითხია და სხვათა შორის, „იმერეთის ჯორი“, „დოლლიაური“, „ყულის კირი,“ და „ამცუხა ლეკი“ საუცხოვო რამ არის; განსაკუთრებით დიდის ხელოვნებით და იუმორით არის დაწერილი „იმერეთის ჯორი“, რომელიც ბევრს აცინებს კაცს. წიგნი შნოიანად და კოპწიათ არის დაბეჭდილი ექ. ხელაძის სტამბაში, კარგს ქაღალზედ და შეიცავს, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, 300-ზე მეტს პაწია გვერდს და შედარებით ფასიც (ერთი მანათი) ძვირი არ აქვს.

⁂ **ქვის ნახშირის წარმოება** დაიწყო სვირის სადგურის ახლოს. საქმეს კერძო კაცები აწარმოებენ.

⁂ **ქვემო აჭარის უფროსთან** თითონ მისულან ს. სუნდაგას მცხოვრებნი ისმაილ ბაით-ოღლი და ოსმან ვერბლაძე, რომელთაც ბრალდებათ მილიციონერის სალურ-ოღლის მოკვლა და იუნკერის შერვაშიძის დაჭრა.

⁂ ჩვენ მივიღეთ ალ. თოიძისაგან შემდეგი წერილი: თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ № 31 დასტამბულია პატარა ამბავი იმის შესახებ, რომ „პეტერბურგში მთავრობას განზრახვა აქვს ნიხრი დააწესოს რესტორანებში საჭმელ სასმელზეო.“ შენიშვნის ავტორი დასძენს, რომ ურიგო არ იქმნება ეს განკარგულება ჩვენშიც იქნეს შემოღებული, რადგან რესტორანის პატრონები ხშირათ ძლიერ დიდ ფასებს იღებენ საჭმელ-სასმელშიო. ზემოხსენებულის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ამბავი თუ ეხება ცალ-ცალკე რესტორანებში ნიხრის შემოღებას, ჩვენში ახალი არ არის, რადგან ამ ხუთის წლის წინათ როცა თბილისის პოლიციმესტრათ დანიშნულ იქმნა ეხლანდელი პოლიცმეისტერი ბ-ნი ლ. პ. მარტიცკი, ბძანება გამოსცა, რომ ყოველსავე საგანზედ, რაც კი რესტორანებში იყიდება, ნიხრი იქნას დანიშნულიო და ამ ნიხრზედ ზევით კი არავის ნება არ ჰქონდეს რაიმე გაყიდოს. და მე ვგონებ, დღესაც აგრე იქცევიან რესტორანის პატრონები.

თუ მთავრობას სურს, რომ საერთო ნიხრი დააწესოს რესტორანებში გასასყიდელ საქონელზედ, ეს მეტად მოუხერხებელი იქმნება, იმიტომ, რომ რესტორანებში ფასი იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ ალაგას ვაჭრობს სასტუმრო და როგორ აქვთ მოწყობილი იგი. მაგალითათ, საშუალო ღირსების რესტორანები ბოთლ ღვინოზედ 20 კაპ. და ნაკლებსაც იჯერებენ მოგებას, ხოლო «ლონდონისა», «ორიანტის», და „კავკაზის“ სასტუმროები იმავე ღვინოში ბოთლში 70 კ. 80 კ. იღებენ მოგებას, იმიტომ, რომ საუკეთესო სახლებში — საუკეთესო მომართული რესტორანები აქვთ.

ამას გარდა, თბილისში, მეტადრე სანოვაგე ყოველთვის ერთ ფასათ არ იყიდება. მაგალითათ, ბატკანი, როცა ახლად შემოსულია 3—4 მან. და მეტადაც ისყიდება, მაშინ ერთი კერძი 40—50 ნაკლებ ხელას არ აძლევს რესტორანის პატრონს; შემდეგ კი, როცა ბატკანი იზრდება და ბლომათ მოდის,—2—2 ღ 50 კ. და ნაკლებათაც ისყიდება; მაშინ კერძი 20—30 კ. შეიძლება იყიდებოდეს.

აგრეა მეტი ნაწილი სხვა სანოვაგეც. მაგალითათ, ფრინველი, ნანადირევი, თევზეული და ხიზილალა. ამის დაგვარად წელიწადში რავდენჯერმე უნდა იცვალოს ნიხრი.

⁂ **ბათუმი.** 18 ნოემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს კრება. ქალაქის მოურავმა წარუდგინა განსახილველად მომავალ 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდგანაც სჩანს, რომ მომავალ წელს ქალაქი მოელის 160,000 მანათის შემოსავალს, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც ქალაქს აქვს ბათომიდგან გატანილ და შემოტანილ საქონელზე დაწესებულ გარდასახადისაგან, და სთხოვა საბჭოს, გადასწყვიტეთ, ამ ხარჯთ აღრიცხვისათვის კომისია დავნიშნოთ, თუ თვით საბჭო განიხილავსო. კრებამ გარდასწყვიტა, განიხილოს ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც ჯერ უნდა დაისტამბოს, რათა ხმოსნებს შეეძლოთ წინადვე გაიცნონ დაწვრილებით ეს ხარჯთ აღრიცხვა.

შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, მისცეს ქალაქს განსვენებულ აგენტების ჯაიანისა და დოხოვსკოის ოჯახობას, თითოს ერთის წლის ჯამაგირი აგენტისა.

⁂ **ადმინისტრაციის ცვლილება.** ბორჩალოს მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე თავ. აფხაზი დანიშნულ იქმნა თელავის მაზრის უფროსის უფროს თანაშემწედ ბ-ნ ინდუკის ალაგას, რომელიც გადაყვანილ იქმნა იმავე თანამდებობაზედ ახალ-ქალაქის მაზრაში, ხოლო თავ. აფხაზის ალაგას დანიშნულ იქმნა ტფილისის გუბერნატორის მოხელე პორუჩიკი თავ. ჯანდიერი.

⁂ **სოფ. რუისი.** (გორის მაზრა) წრეულ ძალიან ცუდი წელიწადი იყო რუისელებისათვის; პური და საზოგადოთ ხორბალი ისე ცოტა მოვიდა, რომ საეჭვოა, თუ ახალ მოსავლამდისინ გვეყოს და საყიდელი არ გაგვიხდეს. ღვინისა ხომ, როგორც აქაურები ამბობენ, „სახელიც კი დაგვავიწყდაო“; ჯერ ეს უკანასკნელი ექვსი წელიწადი ძლიერ ნაკლებ მოდიოდა ღვინო და რაც მოდიოდა, ისიც უვარგისი; წრეულ კი, თუ თითო-ოროლა მტევანი ება სადმე ვაზს,—ისიც ნაცარ შეყრილი და მკვახე. სასურველია, რომ ფილოქსერის კომიტეტმა, რომელიც ზაფხულობით ვენახებს სწამლობს, ჩვენს ვენახებსაც რამე უწამლოს და ამ გზით მომავალში მაინც არის ღვინის მოსავლის იმედი რუისელებს არ დაუკარგოს.

⁂ **სადგურ ადსტაფიდგან გვწერენ:** დღეს, 19 ნოემბერს, ცეცხლი გაჩნდა საქონლის მისაღებ „კანტორაში“. თუ არ სადგურის უფროსის ენერგიული განკარგულება, ცეცხლი დიდს ზარალს მოუტანდა, როგორადაც ხაზინას, აგრეთვე სხვებსაც, რადგან დიდი ქარიცა ჰქროდა, მაგრამ საბედნიეროდ ცეცხლი ადრე ჩააქრეს.

⁂ **ს. ილორი** (აფხაზეთი). 10 გიორგობისთვეს მთელს აფხაზეთში განთქმულის ილორის ეკკლესიაში დღეობა იყო. ხალხი, ჩვეულებრივ, მრავალი დაესწრო. სამურზაყანოელების გარდა ბევრი მლოცველი მოვიდა გურიიდან, იმერეთიდან და აგრეთვე სამეგრელოდან. მწირველი ბრძანდებოდა ოჩამჩირის ბლაღოჩინი იოანე კერესელიძე. წირვის შემდეგ მამა კერესელიძემ მლოცველებს ამ დღის შესაფერის ქადაგებით მიმართა, რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამასწრეებზე. დარი კი ხელს არ უწყობდა დღეობას.

⁂ **ქუთაისი.** რამდენიმე ხანია, რაც ქუთაისის მეფურნეებმა პირობა შეჰკრეს, მხოლოდ მეორე ხარისხის პურს აცხობდნენ და გირვანქას $3^{1}/_{2}$ კაპეიკად ჰყიდდნენ, ხოლო პირველისა და მესამე ხარისხის პურს სულ არ აცხობდნენ და ამბობდნენ, იმ ნიხრით პურის გაყიდვა არ შეგვიძლიან, რომელიც ქალაქის გამგეობამ დაგვიწესაო.

მაშინ ქალაქის გამგეობამ თითონ იკისრა პურის გამოცხობა და გაყიდვა შემდეგ ფასებად: გირვანქა პირველის ხარისხისა 4 კ., მეორესი—$3^{1}/_{2}$ კ. და მესამესი—$2^{1}/_{3}$ კაპ.

⁂ **კარტოფილის იუბილეი.** ამ დღეებში ინგლისში იდღესასწაულებენ კარტოფილის იუბილის იმის გამო, რომ სამასი წელიწადი სრულდება, რაც პირველად კარტოფილი მოიყვანეს ევროპაში. აქამდინ ამბობდნენ, კარტოფილი პირველად მოიყვანა ევროპაში ინგლისელმა ფრენსის დრეკმაო, ხოლო ეხლა დამტკიცდა, რომ პირველად კარტოფილი ვალტერ რელეის მოუყვანია 1596 წელს. ამ ასის წლის წინად ევროპაში სულ ორი დღიურის ადგილზედ მოჰყავდათ კარტოფილი, ეხლა კი 20 მილიონ დღიურზედ მოჰყავთ და 3,000 სხვა და სხვა ხარისხის კარტოფილია.

---

## თეატრის მატიანე.

**მიხეილ ნანობაშვილი.** წელს მეორე კლასიკურს გიმნაზიაში დაასრულა სწავლა და პეტერბურგის უნივერსტეტში, იურიდიულ ფაკულტეზე, შევიდა მიხეილ იროდიონის ძე ნანობაშვილი. ამ გზაზედ დადგა ახალგაზდა კაცი მხოლოდ მშობლების სურვილის აღსასრულებლად, თორემ იმ თავითვე ნანობაშვილის მისწრაფება სულ სხვა იყო. გალობა და მუსიკა—აი ის სატრფიალო საგნები, რომლებსაც ახმარებდა ყოველ თავისუფალ წამს, რომელიც-კი ბერძნულ — ლათინურის სწავლას გადაანარჩუნებდა ხოლმე. ბუნების ძალამ აღში თავისი ქმნა და ახალგაზდა იურისტი წავიდა ბედ-იღბლის საცდელად კონსერვატორიაში. ეხლა გვატყობინებენ პეტერბურგიდამ, რომ მიხეილ ნანობაშვილმა აღტაცებაში მოიყვანა კონსერვატორიის პროფესორები თავისის ხმით, მიიღეს მაშინათვე სახელმწიფო ხარჯზედ და უქადიან, რომ იგი თავის დროზედ მშვენება და სახელი შეიქმნება საიმპერატორო საოპერო თეატრისა.

—

**სომხური თეატრი.** გუშინ-წინ სომხურ არტისტ ქალის ვარდუის ბენეფისზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წარმოადგინეს სუნდუკიანცის კომედია „დანგრეული ოჯახი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ვარდუის რამდენიმე საჩუქარი მიართვეს და ბოლოს, ჩვეულებრივ, გ. ნ. სუნდუკიანციც გამოიწვიეს სცენაზე ხანგრძლივის ტაშის კვრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს იოსებ ლეჟავას, რომელმაც გადმომცა ორმოცამდე წიგნაკი „ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები“ ჩემდამი რწმუნებულ სკოლის მოწაფეებთათვის დასარიგებლად.

ფ.-ცვ. მონასტრის სკოლის მასწავლებელი
ონისიმე ივანეს ძე პიკაძე

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**სალამური**

სახალხო სიმღერები,
გადაღებული ნოტებზე
ზ. ჩხიკვაძის მიერ
**ფასი ხუთი შაური**
(5—5)

---

მიიღება ხელის-მოწერა

**დამდეგის 1897 წლისათვის**

ახალ ქართულ ყოველ-დღიურ გაზეთ

# „ცნობის ფურცელზე“

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვინც დამდეგის წლისათვის გაზეთს ამ თავითვე წლიურად დაიკვეთს, **იმას გაზეთი უფასოდ გაეგზავნება ამ წლის დამლევამდე.**

## წლიურ ხელის-მომწერთ

გაზეთთან ერთად დაეგზავნება **უსასყიდლოდ** ამ წლის დეკემბრის თვიდან:

# საქართველოს კალენდარი 1897 წ.

კალენდარი დასურათებულ იქნება მრავალგვარ ნახატებით და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით. კალენდარი შეიცავს 500-ზე მეტს გვერდს დიდის ზომისას.

# „ცნობის ფურცელი“

გ ა მ ო ვ ა

ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდგომაც, უფრო დიდის ზომისა.

გაზეთის ფასი: წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. (სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება)

**თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ—5 კაპ.

## შეღავათი ხელის მომწერთათვის

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მან. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე წლიურ ფასს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა:

ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.

Тифлисъ, Фрейлинская, **№ 13**.
Редакція **„Цнобисъ Пурцели“**.

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

---

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

*(пятьдесятъ второй годъ изданія)*

# НА ГАЗЕТУ „КАВКАЗЪ“.

Съ 1-го января 1897 года газета „КАВКАЗЪ“ будетъ издаваться подъ редакціей

## В. Л. ВЕЛИЧКО,

по значительно-расширенной программѣ.

Газета поставитъ себѣ задачею посильное содѣйствіе духовному и экономическому развитію Кавказскаго края, культурное сближеніе его съ основными, созидательными началами русской жизни и служеніе отечественнымъ интересамъ на Востокѣ.

I. ВЪ ОФИЦІАЛЬНОЙ части газеты будутъ помѣщаться; 1) Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства; 2) Высочайшіе приказы; 3) приказы Главноначальствующаго гражданскою частью и командующаго войсками на Кавказѣ и вообще все то, что высшая администрація края найдетъ необходимымъ предложить напечатать.

II. ЧАСТЬ НЕОФИЦІАЛЬНАЯ, сообразно съ приведенной выше задачей газеты, будетъ распадаться на три группы статей, объединенныхъ общимъ направленіемъ.

### *А. Вопросы мѣстные.*

1) Наблюденіе за мѣстною жизнью, изслѣдованіе явленій, отражающихся на [illegible]я укладѣ, и всестороннее обсужденіе порождаемыхъ ими вопросовъ будутъ обусловливаться возможно болѣе раціональною организаціей отдѣла корреспонденцій не только изъ главныхъ пунктовъ края, но и изъ глухихъ его уголковъ, типичныхъ въ какомъ-либо отношеніи. Въ частности будетъ отведено подобающее мѣсто городской хроникѣ Тифлиса, какъ центра кавказской жизни.

2) Передовыя статьи общаго и спеціальнаго характера, фельетоны серьезные и юмористическіе, въ прозѣ и стихахъ, тщательный обзоръ мѣстной русской и туземной публицистики послужатъ иллюстраціей къ матеріалу, приведенному въ 1-мъ пунктѣ, Особое вниманіе будетъ обращено на изслѣдованіе и выясненіе экономическихъ особенностей Кавказа: статьи по сельскому хозяйству, обрабатывающей промышленности, горному дѣлу и торговлѣ.

3) Постепенное развитіе статистики послужитъ для приведенныхъ отдѣловъ прочною основой.

4) Сознавая первостепенную научную и политическую важность кавказовѣденія въ широкомъ смыслѣ этого слова, газета значительное мѣсто отведетъ статьямъ по естественной исторіи края, гражданской и военной исторіи его до и послѣ присоединен къ Русской имперіи; изслѣдованіямъ, посвященнымъ этнографіи, фольклору, туземнымъ литературамъ въ ихъ прошломъ и настоящемъ, а также переводамъ лучшихъ туземныхъ произведеній.

Къ выполненію перечисленныхъ задачъ будутъ привлечены какъ мѣстные сотрудники, такъ и иные писатели и ученые, спеціально знакомые съ Кавказомъ.

### *Б. Вопросы русской жизни и общекультурные.*

1) Связующимъ звеномъ между этою группой статей и предыдущею будетъ возможно-раннее и частое сообщеніе вѣстей изъ обѣихъ столицъ и другихъ крупныхъ пунктовъ Имперіи о тамошнемъ ходѣ административныхъ, общественныхъ, торговыхъ и судебныхъ дѣлъ, интересующихъ Кавказское общество. Столичныя вѣсти будутъ получаться отъ нѣсколькихъ спеціальныхъ корреспондентовъ, близкихъ къ различнымъ сферамъ.

2) Ежедневный обзоръ русской печати будетъ восполненъ разнообразными корреспонденціями, посвященными преимущественно типичнымъ явленіямъ русской жизни. Художественнымъ-же ея истолкованіемъ явится:

3) Беллетристическій отдѣлъ (повѣсти, разсказы, стихотворенія), значительному расширенію котораго будутъ содѣйствовать извѣстныя литературныя силы обѣихъ столицъ.

4) Критико-библіографическія замѣтки и фельетоны объ интересныхъ русскихъ и иностранныхъ книгахъ и ежемѣсячное журнальное обозрѣніе.

5) Популярныя статьи по философіи, вопросамъ религіознымъ, нравственнымъ, художественнымъ, государственнымъ и отвлеченно-научнымъ, какъ оригинальныя такъ и переводныя.

6) Театръ и музыка.

### *В. Вопросы внѣшней политики и заграничной жизни.*

Этимъ вопросамъ будутъ посвящены:

1) Политическія корреспонденціи и телеграммы изъ Средней Азіи, Турціи, Персіи, Индіи, Болгаріи, Лондона, Парижа и Венеціи. Этотъ отдѣлъ, требующій особой осмотрительности, будетъ расширяться постепенно, по мѣрѣ возможности, равно какъ и

2) Заграничныя свѣдѣнія торговаго характера, имѣющія цѣлью содѣйствовать оживленію кавказской промышленности и торговли.

3) Передовыя статьи по восточному вопросу и періодическіе обзоры внѣшней политики, наряду съ ежедневными выдержками изъ иностранной печати.

4) Изрѣдка помѣщаемые очерки заграничной жизни.

---

Кромѣ всего перечисленнаго, въ программу „Кавказа“ будутъ включены всѣ остальныя рубрики, принятыя въ большихъ литературно-политическихъ газетахъ.

---

Подписная цѣна остается безъ измѣненія, а именно:

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | | Съ пересылкою иногороднымъ. | | По почтовому союзу. | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ | 11 р. 50 к. | На годъ | 13 р.— | На годъ | 18 р. 40 к. |
| „ полгода | 6 р. — | „ полгода | 6 р.— | „ полгода | 10 р. — |
| „ 3 мѣс. | 3 р. 50 к. | „ 3 мѣс. | 4 р.— | „ 3 мѣс. | 6 р. — |
| „ 1 мѣс. | 1 р. 50 к. | „ 1 мѣс. | 1 р. 75 к. | „ 1 мѣс. | 2 р. — |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ редакціей, причемъ иногородными вносится по 3 руб. при подпискѣ, 1-го марта и 1-го мая и по 2 руб.—1-го іюля и 1-го сентября; городскими—къ тѣ-же сроки: 3 р., 3 р., 2 р., 2 р. и 1 р. 50 коп.

NB. Подписка и объявленія на 1897 годъ принимаются по нижеслѣдующему НОВОМУ АДРЕСУ:

Г. Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Харазовой, „Бюро подписки на газету „Кавказъ“ на 1897 годъ“.

Бюро **ОТКРЫТО** ежедневно, кромѣ воскресныхъ и праздничныхъ дней, отъ **9 часовъ утра до 3-хъ часовъ дня.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.